ხელშეკრულება № 0/91
გამარტივებული შესყიდვის შესახებ

დ.მესტია **28. 06. 2019 წელი**

შემსყიდველი: მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, მერის კაპიტონ ჟორჟოლიანის სახით
მისამართი: მესტია, სეტის მოედანი N1
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. ,,ლიბერთი ბანკის" მესტიის ფილიალი
ბანკის კოდი LBRTGE22
სახაზინო ანგარიში 30004100000.
საიდენტიფიკაციო კოდი 235895046

მიმწოდებელი: ი|მ „ნინო შუკვანი"-ს დირექტორის, ნინო შუკვანის სახით.
მისამართი: დ. მესტია სოფ. ლენჯერი.
საკონტაკტო ტელ: 577 90 19 65.
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
პ/ნ 30001006480
ანგ. № **GE31LB0112198828443000.**

ერთის მხრივ მესტიის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი"), მეორეს მხრივ ი|მ „ნინო შუკვანი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის 3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე: CPV45232400.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია:

მესტიის მუნიციპალიტეტის ლენჯერის ტერიტორიული ერთეულში სოფ. ქურელის და სოფ. ქაშუეთის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა.

1.2. ხელსეკრულების სავარაუდო ღირებულება 20 151 (ოცი ათას ას ორმოცდაათი) ლარი.
1.3 დაფინანსების წყარო: **საქართველოს მთავრობის 08/03/2019 წლის N-208 განკარგულების შესაბამისად 20 000 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტი 151 ლარი.**

2. მომსახურების მიღება – ჩაბარება

2.1 მიმწოდებელმა მომსახურება უნდა გაწიოს 2019 წლის 30 ნოემბრამდე.
2.2 მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3. გარანტია

3.1. ,,მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი შესაბამისი პირობების დაცვით გამოყენების დროს არ გამოავლენს დეფექტებს.
3.2. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული მომსახურების შეცვლა ,,შემსყიდველის" მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
3.3. ,,მიმწოდებლის" მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ,,შემსყიდველს" უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
4.2. ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან" განხორციელდება ლარებში.
4.3. საავანსო ანგარისსწორება განხორციელდება საბანკო გარანტიის საფუძველზე.
4.4. შემსყიდველს უფლება აქვს აწარმოოს გადარიცხვები სამუშაოების შესაბამისი დომუმენტაციის წარმოდგენისა და მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელსაც

განახორციელებს მიმწოდებელი. შემსყიდველი უზრუნველყოფს მომსახურების გაწევის შესაბამისობის ინსპექტირებას.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან ,,შემსყიდველისათვის" პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. უფლებების გადაცემა

6.1. ,,მიმწოდებელმა" ,,შემსყიდველს" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1. ,,შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, ,,მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სრული მოცულობით ან მისი ნაწილი.

ბ) თუ ,,მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. ,,შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ ,,შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ ,,მიმწოდებლის" საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

8.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02 %-ს ოდენობით.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. ,,შემსყიდველს" უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადოს საქონელი. ,,შემსყიდველმა" წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს ,,მიმწოდებელს", ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

9.2. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

9.3. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ,,შემსყიდველისა" და ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ,,შემსყიდველმა" და ,,მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ,,შემსყიდველი" და ,,მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. გამოყენებული სამართალი

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

14. შეტყობინება

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

15.2. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით.

16. გადასახადები და ბაჟები

16.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.
16.2. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მესტიის მუნიციპალიტეტი | ი|მ „ნინო შუკვანი”-ს

მერი : | **ხელმძღვანელი:**

/კაპიტონ ჟორჟოლიანი/ | /ნინო შუკვანი/

Mestia Municipality Digitally signed by Mestia Municipality Date: 2019.06.28 17:41:58 +04'00'

Nino Shukvani Digitally signed by Nino Shukvani Date: 2019.06.28 17:41:11 +04'00'